გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 223

2023 წლის 8 დეკემბერი

ქალაქი გორი

გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ს.კ. 66.46.20.530.804) სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ

სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2023 წლის 04 ოქტომბრისს N15/53880 წერილის შესაბამისად დადგა საკითხი, ქ. გორში, ცხინვალის გზ. III კმ. მდებარე, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ს.კ. 66.46.20.530.804 – 180.00 კვ.მ., წინა კოდი: 66.46.20.530.791-დან ნაწილი 180.00 კვ.მ.) სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით, შემდგომში სს ,,საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" კაპიტალში შეტანის მიზნით.

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა" ახორციელებს, მის საკუთრებაში არსებული, 220 კვ. ელ.გადამცემი ხაზების: „ლიახვი"-სა და ,,ლომისი"-ს რეკონსტრუქციის - გაორჯაჭვიანების პროექტს. აღნიშნული პროექტის ფარგლებში ერთ-ერთი ახალ ასაშენებელი ანძის მიერ უშუალოდ დაკავებულ მიწის ნაკვეთს წარმოადგენს ქ. გორში, ცხინვალის გზ. III კმ. მდებარე, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება (ს.კ. 66.46.20.530.804 – 180.00 კვ.მ.), აღნიშნულიდან გამომდინარე დადგა საკითხი მითითებული ქონების სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე გორის მუნიციპალიტეტის მერიას და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია ქ. გორში, ცხინვალის გზ. III კმ. მდებარე უძრავი ქონება (ს.კ. 66.46.20.530.804 – 180.00 კვ.მ.) გადაეცეს სახელმწიფოს უსასყიდლოდ საკუთრებაში, შემდგომში სს ,,საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" კაპიტალში შეტანის მიზნით.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, 108-ე მუხლისა და სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულის სააგენტოს 2023 წლის 04 ოქტომბრის N15/53880 წერილის შესაბამისად გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. გადაეცეს, სახელმწიფოს უსასყიდლოდ საკუთრებაში, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, კერძოდ: ქ. გორში, ცხინვალის გზ. III კმ. მდებარე 180.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, საკადასტრო კოდი N66.46.20.530.804.
2. განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი გორი, ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე


გორი, ცხილვალის გზ. IIIკმ. 180 კვ.მ.
ს.კ. 66.46.20.530.804
NAPR
66.46.20.530.019
66.46.20.530.805
66.46.20.530.007
66.46.20.530.009
66.00.096
67.00.022
66.00.687
66.44.01.310
66.44.01.493
66.44.01.193
66.44.01.273